მანანა ჯავახიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)

ჰაიტონ კორიკოსელის დასავლური ორიენტაცია და საქართველო

XIII საუკუნეში მონღოლების გამოჩენა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას ცვლის და გარკვეულწილად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობების განვითარებაში ახალ ეტაპს იწყებს. ამ პერიოდში აშკარად იკვეთება ევროპელი ჯვაროსნების ინტერესი მონღოლების მიმართ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მონღოლებთან შესაძლო ალიანსი მუსლიმთა წინააღმდეგ მახლობელ აღმოსავლეთში ევროპელთა პოზიციებს გაამყარებდა და წმინდა მიწის დაბრუნებას შეუწყობდა ხელს. ამის საფუძველს მათ მონღოლთა მხრიდან სხვადასხვა რელიგიის და, კონკრეტულად, ქრისტიანობის მიმართ არსებული დიდი ინტერესი აძლევდა. ცნობილია მონღოლთა ელიტაში ქრისტიანობაზე მოქცევის შემთხვევებიც (მაგალითად, მუნქე ყაენის (1251-1259), ჰეთუმის ცნობით, ასევე ბათუ ყაენის ვაჟის, სარტაკის, ყივჩაღთა ყაენის და ა.შ.) (Hayton, 813).

მონღოლთა ისტორიისა და ევროპელების მონღოლებთან ურთიერთობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ფრანცისკანელი ბერები პლანო კარპინი[1] და გიომ რუბრუკი,[2] ასევე ვენეციელი ვაჭარი მარკო პოლო.[3] ამ ავტორებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია სომეხი ისტორიკოსის ჰეთუმ იგივე ჰაიტონ[4] კორიკოსელის (დაახ.1230-1308), „აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილის“ ავტორის ცნობები მონღოლებზე და აგრეთვე კილიკიის სომხეთის, ანტიოქიის სამთავროსა და საქართველოს შესახებ (Hayton, 809-878).

ბიოგრაფიული ცნობები ჰაიტონის შესახებ

რა ვიცით ჰაიტონ კორიკოსელის შესახებ? მას საკმაოდ დატვირთული და თავგადასავლებით სავსე ბიოგრაფია აქვს. იგი იყო ოშინ I-ის, კორიკოსის[5] მმართველის ვაჟი და

1 პლანო კარპინი (დაახ. 1182-1252) – იტალიელი მოგზაური და მისიონერი, ავტორი წიგნებისა – „მონღოლების ისტორია, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ“ და „წიგნი თათრების შესახებ“. 1245-1247 წლებში, რომის პაპის დავალებით, დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა მონღოლთა იმპერიაში.

2 გიომ რუბრუკი (დაახ. 1210/20-1293) – ფლამანდრიელი მოგზაური და მისიონერი, ავტორი წიგნისა – „აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობა“. 1253-1255 წლებში საფრანგეთის მეფის დავალებით იმოგზაურა მონღოლეთში.

3 მარკო პოლო (დაახ. 1254-1324) – ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური, ავტორი წიგნისა – „ქვეყნიერების მრავალფეროვნების შესახებ.“ აბრეშუმის გზის გავლით იმოგზაურა ჩინეთში.

4 ჰაიტონი მისი სახელის – ჰეთუმის ლათინიზებული ვერსიაა.

5 სომხური პორტი, რომელიც მდებარეობს დღევანდელი ანატოლიის სამხრეთ სანაპიროზე, თურქული პროვინცია მერსინში.

კილიკიის სომხეთის მეფის ჰეთუმ I-ის (1213-1270)[6] ძმისშვილი. ჰეთუმიდების ოჯახი ძალიან გავლენიანი და ძლიერი იყო კილიკიაში.

1294 წლიდან ჰაიტონი სამშობლოს ტოვებს, რადგან უპირისპირდება კილიკიის მეფე ჰეთუმ II-ს (1289-1307), თავის უმცროს ბიძაშვილს. 1305 წელს იგი ხდება პრემონტრელთა ორდენის[7] წევრი კვიპროსზე, ბალაპეს სააბატოში. შემდეგ ჰაიტონი ალიანსს კრავს ამორი/ამალრიკ დე ლუზინიანთან, ტვიროსის მმართველთან (1284-1291), რომელმაც, პრაქტიკულად, კვიპროსის კანონიერ მეფეს ანრი II-ს წაართვა და ხელში ჩაიგდო კვიპროსის ტახტი.

1307 წელს ჰაიტონი, ამორი დე ლუზინიანის ელჩის რანგში, ავინიონში რომის პაპს კლემენტ V-ს (1264-1314) ეახლა და ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის წამოწყება სთხოვა, კერძოდ, წმინდა მიწის დაბრუნება მონღოლთა დახმარებით, რამდენადაც ჰეთუმი მონღოლებთან ალიანსის მხურვალე მხარდამჭერი იყო (Richard, 469). როგორც ჩანს, მან თავისი ისტორია სწორედ ავინიონში შექმნა, სავარაუდოდ, რომის პაპის თხოვნით.

1308 წელს ჰაიტონი კვიპროსზე ბრუნდება, შემდეგ კი – კილიკიის სომხეთში. ასევე ცნობილია, რომ ჰეთუმმა იქორწინა იზაბელზე, გი დ'იბელენისა (დიდებული ფრანკული გვარის წარმომადგენელი წმინდა მიწიდან) და ჰეთუმ I-ის შვილიშვილზე (მისი ქალიშვილის – მარიას შვილზე) (Hayton, 803).

ჰაიტონ კორიკოსელის ბიოგრაფიული ცნობებიდან ჩანს, რომ იგი აქტიურად იყო ჩართული იმ პერიოდის კილიკიის სომხეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ცხოვრებაში, პროდასავლური ორიენტაციისა იყო და რომის პაპსა და სხვა ევროპელ დიდებულებთან ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა. იგი იზიარებდა ევროპელი ჯვაროსნების სურვილს მონღოლებთან ალიანსის შესახებ მუსლიმთაგან წმინდა მიწის გამოხსნის მიზნით.

„აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილი" – ზოგადი ხასიათის ინფორმაცია

ჰაიტონის თხზულება – „აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილი" 1307 წლის აგვისტოში რომის პაპს – კლემენტ V-ს პუატიეში წარედგინა. ჰაიტონმა ტექსტი ფრანგულ ენაზე უკარნახა ნიკოლა ფალკონს, რომელმაც შემდგომ ის თარგმნა ლათინურად იმავე სათაურით – „Flos Historiarum Terrae Orientis".

წიგნი 4 ნაწილისაგან შედგება: 1. აზიის 14 სამეფოს აღწერა; 2. მუსლიმთა დომინაცია წმინდა მიწაზე; 3. მონღოლთა ისტორია, მათი დაპყრობები; 4. ეგვიპტის შესახებ და ჯვაროსანთა ტრაქტატი. ეს ისტორია ერთ-ერთი უძველესი ევროპული ტექსტია, რომელიც აღმოსავლეთის ისტორიას აგვიწერს, რაც, როგორც ჩანს, იმ პერიოდში ევროპელთა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა – უკეთ გაეცნოთ აღმოსავლეთის ქვეყნები და ცივილიზაცია. ცხადია, ამ თვალსაზრისით დიდი როლი ითამაშა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, კერძოდ, ევროპელთა სამხედრო წარუმატებლობამ წმინდა მიწაზე. ბუნებრივია, სურვილი

6 კილიკიის სომხეთის მეფე ჰეთუმ I ანტიოქიის მთავრ ბოემუნდ IV-თან ერთად ალიანს კრავს მონღოლებთან მამლუქების წინააღმდეგ, 1254 წელს იგი ყარაყორუმში პირადად ეახლა მუნქე ყაენს და დახმარება სთხოვა მამლუქებთან ბრძოლაში (Grousset, 577-603).

7 პრემონტრელთა ორდენი დააფუძნა ნორბერ დე ქსანტანმა XII საუკუნის დასაწყისში.

გაჩნდა, უკეთ გასცნობოდნენ მუსლიმურ კულტურას და ამოეხსნათ მისი ძლიერების და დაუმარცხებლობის მიზეზები.

ჰაიტონი თავის ისტორიაში მოგვითხრობს მუსლიმების შესახებ, რომლებიც წმინდა მიწაზე გაბატონდნენ (სირია-პალესტინაში), ეგვიპტის ისტორიას, ასევე მონღოლების (თათრების) წარმოშობასა და შემდგომ გაძლიერებაზე. ტიპოლოგიურად, შინაარსობრივად (რამდენადაც აღმოსავლეთის ისტორიას ეხებიან) და პოპულარობით ჰეთუმის თხზულებას მარკო პოლოს, მარინო სანუტოს,[8] ოდორიკო დე პორდენონეს[9] წიგნებს ადარებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ავტორებს ისიც აერთიანებთ, რომ ისინი თავად არ წერდნენ წიგნებს, არამედ სხვებს უკარნახებდნენ, განსაკუთრებით კი მოგზაურები, რომლებიც ნაკლებად წიგნიერნი იყვნენ და მეტწილად მთხრობელებად გვევლინებოდნენ (Горелов, 214-215).

ჰაიტონის ტექსტის სხვადასხვა ხელნაწერის (ფრანგული და ლათინურ ენოვანი) შედარებამ აჩვენა, რომ პირველადი სწორედ ფრანგული ტექსტია, მეოთხე თავის გარდა. შესაძლოა, მეოთხე თავი – ჯვაროსნებზე, პაპის თხოვნით, ჰეთუმმა მოგვიანებით დაამატა, ლათინურად დაიწერა და მხოლოდ შემდეგ ითარგმნა ფრანგულად.

ჰაიტონის ისტორია ძალიან პოპულარული გახდა შუა საუკუნეების ევროპაში, სწორედ ამიტომაც არსებობს მისი მრავალრიცხოვანი ხელნაწერი, კერძოდ, 16 ფრანგულენოვანი (ამას ემატება ჟან ლე ლონგის[10] მიერ 1351 წელს ლათინურიდან ძველ ფრანგულად თარგმნილი 4 ხელნაწერი, სულ 20 ხელნაწერი), 31 – ლათინურენოვანი, XIV საუკუნის ერთი ესპანურენოვანი ხელნაწერი და ერთიც – XV საუკუნის ინგლისურენოვანი ვერსია. შემდგომ XVI და XIX საუკუნეებში კვლავ არაერთხელ გამოიცა ჰაიტონის ისტორია. ფრანსუა რაბლე ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა ჰაიტონის თხზულებას და მას მარკო პოლოს, სტრაბონსა და ჰეროდოტეს ნაშრომებს ადარებდა.

ჰაიტონი საქართველოს შესახებ

„აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილი“ მნიშვნელოვანი წყაროა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის, კერძოდ, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მონღოლთა ეპოქის კონტექსტში უცხოელი მემატიანის მიერ საქართველოს სამეფოს ადგილისა და როლის წარმოჩენის თვალსაზრისით.

რას გვიყვება „აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილი“ საქართველოზე და ქართველებზე? ავტორი ტექსტში მრავალჯერ იხსენიებს საქართველოს სამეფოსა და ქართველებს. ჰეთუმი ტექსტის პირველი ნაწილის (აზიის 14 სამეფოს აღწერილობა) მეათე თავს სპეციალურად საქართველოს უძღვნის, რომელშიც ვრცლად მოგვითხრობს საქართველოს,

8 მარინო სანუტო ტორჩელო – (დაახ. 1270-1343) – ვენეციელი მოგზაური და გეოგრაფი. ავტორი წიგნისა „Liber secretorum fidelium crucis“ (ჯვრის ერთგულთა საიდუმლოებების წიგნი), რომელიც გადმოგვცემს წინა აზიისა და ეგვიპტის სრულ გეოგრაფიულ და ისტორიულ აღწერას.

9 ოდორიკო დე პორდენონე – (დაახ. 1286-1331) – იტალიელი მისიონერი და მოგზაური, რომელმაც იმოგზაურა შორეულ აღმოსავლეთში, ინდოეთსა და ჩინეთში.

10 ჟან ლე ლონგმა 1351 წელს ძველ ფრანგულად თარგმნა ლათინურენოვანი კრებული, რომელიც აღმოსავლეთის შესახებ არსებულ თხზულებებს აერთიანებდა. მოგვიანებით ლე ლონგის აღნიშნული კრებული, „სერ ჯონ მანდევილის მოგზაურობა“ და მარკო პოლოს „ქვეყნიერების მრავალფეროვნების შესახებ“ გაერთიანდა ერთ წიგნად – „აღმოსავლეთის საოცრებათა წიგნებში“ (XIV-XV სს. მიჯნა), რომელიც ბურგუნდიის ჰერცოგების ბიბლიოთეკაში ინახებოდა.

როგორც აზიის ერთ-ერთი სამეფოს, შესახებ. ამ თხრობის პირველი ნაწილი საქართველოს ადგილმდებარეობას ეხება:

„ეს სამეფო იწყება აღმოსავლეთის მხრიდან იმ დიდი მთიდან, რომელსაც ალბრუზი (იალბუზი) ეწოდება. აქ სხვადასხვა ეროვნებები სახლობენ და ამ ქვეყანას ალანია ჰქვია. ამ მთიდან საქართველოს სამეფო დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ მიემართება და თურქეთის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციას ესაზღვრება. სიგრძივი მიმართულებით საქართველო დიდ ზღვამდე მიდის, სამხრეთში კი დიდ სომხეთს ემეზობლება“ (Hayton, 815).

აქ ავტორი შეცდომას უშვებს, რადგან თურქეთი საქართველოს სამხრეთით მდებარეობს და არა მის ჩრდილოეთით. ვ. კიკნაძის აზრით, ეს შეცდომა ავტორის არასწორი გეოგრაფიული აღქმის შედეგია, რადგან იგი კილიკიის სომხეთიდან იღებს ორიენტაციას, რომელიც მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა, ამიტომ კილიკიელი ჰაიტონისათვის საქართველო ჩრდილოეთით იყო (კიკნაძე, 1986,158).

შემდეგ ჰაიტონი საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ სიტუაციას ხსნის, რომელიც იმ დროს ორ ნაწილად იყო დაყოფილი:

„საქართველოს სამეფო ორ სამეფოდ იყოფა: საქართველოდ და აფხაზეთად. საქართველოს სამეფო აზიის იმპერატორის ქვეშევრდომია, აფხაზეთის სამეფო ძლიერია მოსახლეობის სიმრავლით და ციხე-სიმაგრეებით, ის არასდროს ემორჩილებოდა არც თათრებს და არც აზიის იმპერატორს“ (Hayton, 815).

მოკლედ უნდა შევეხოთ საქართველოს პოლიტიკურ მოცემულობას XIII საუკუნის შუა ხანებში. 40-იან წლებიდან საქართველოში მონღოლთა პოლიტიკური დომინაცია იწყება. 1243 წელს რუსუდანი (1223-1245) ოფიციალურად აღიარებს დიდ ყაენს სუზერენად და ყოველწლიური ხარკის გადახდას კისრულობს (50 000 ოქროს პერპერას), ასევე ჯარით დახმარებას ჰპირდება საჭიროების შემთხვევაში. ცნობილია, რომ მონღოლები დიდად აფასებდნენ ქართველთა საბრძოლო უნარებს და ხშირადაც იყენებდნენ მათ სხვადასხვა სამხედრო ექსპედიციაში (1256 წელს – ალამუთი, 1258 – ბაღდადი და სხვ.). რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, 1245 წელს საქართველოს სამეფოს სერიოზული პრობლემა გაუჩნდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს სამეფო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ორი უფლისწული – დავით ულუ, (1247-1270), ლაშა-გიორგის უკანონოდ შობილი ვაჟი და დავით ნარინი (1247-1293), რუსუდანის კანონიერი მემკვიდრე. მონღოლური სამართლის მიხედვით, 1247 წელს ორივე დავითი საქართველოს მეფედ სცნეს. რასაკვირველია, ორი მმართველის ერთი სამეფოს ტახტის ფლობაზე აღიარება საფრთხის შემცველი იყო საქართველოს ერთიანობისათვის. გარკვეულ პერიოდში ორივე დავითი თბილისიდან მართავდა სახელმწიფოს. მაგრამ 1259 წელს დავით ნარინი მონღოლებს აუჯანყდა და მოვლენათა განვითარების შედეგად იმერეთში გადავიდა, ხოლო მონღოლებმა ვერ გაბედეს დასავლეთ საქართველოში შესვლა. შესაბამისად, დავით ნარინმა იმერეთში დამოუკიდებელი სამეფო ჩამოაყალიბა. ამგვარად, XIII საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველო ორ ნაწილად (დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად) გაიყო (ლომინაძე, 558-574).

დავუბრუნდეთ ჰაიტონის ტექსტს. „საქართველოში“ იგი გულისხმობს აღმოსავლეთ საქართველოს, რომელიც მონღოლებს ემორჩილება (აზიის იმპერატორს, დიდ ყაენს, რომელიც ყარაყორუმში ზის), ხოლო „აფხაზეთში“ – დასავლეთ საქართველოს, რომელშიც არ ვრცელდება მონღოლთა (სპარსეთის ილხანების) ბატონობა. საინტერესოა, რომ მარკო პოლო (მარკო პოლო,12), რუბრუკი (კიკნაძე, 158) და მარინო სანუტო (კიკნაძე,158) მსგავს ინფორმაციას გვაწვდიან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ამ მხრივ

მარინო სანუტო ზედმიწევნით იმეორებს ჰაიტონის ტექსტს (კიკნაძე, 158). რაც შეეხება მარკო პოლოს, იგი წერს:

„მთელი პროვინცია (საქართველო) დიდი მთებითაა მოფენილი. ასე რომ, თათრებმა მისი სრულად დაპყრობა ვერ შეძლეს“ (მარკო პოლო, 14).

საქართველოს სამეფოს შესახებ ჰაიტონის ტექსტის მეორე ნაწილში მოცემულია ინფორმაცია დიდი სასწაულის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰამსენის პროვინციაში:[11]

„ამ პროვინციაში (ჰამსენი) ბატონობს ისეთი დიდი წყვდიადი, რომ არავის შეუძლია რაიმეს გარჩევა და არავის ჰყოფნის გამბედაობა შეაღწიოს ამ მიწაზე, რადგან უკან ვეღარ გამოაღწევს. ამ მიწის მცხოვრებლები ჰყვებიან, რომ ესმით ადამიანთა გმინვა, მამლების ყივილი, ცხენების ჭიხვინი და ერთი მდინარის დინების მიხედვით, რომელიც ამ პროვინციაზე გადის, შესამჩნევია იმის ნიშნები, რომ აქ ხალხი მართლაც ცხოვრობს“ (Hayton, 815).

შემდეგ ჰაიტონი მოგვითხრობს ლეგენდას (რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, სომხურ და ქართულ წყაროებში ნახა) სასტიკი იმპერატორის შესახებ, რომელიც ქრისტიანებს დევნიდა :

„ერთ დღეს მან (იმპერატორმა) ბრძანა, აზიის ყველა მცხოვრებს თაყვანი ეცა კერპებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა, ვინც არ დაემორჩილებოდა, უნდა დაეწვათ. ზოგიერთმა ქრისტიანმა მარტვილობა არჩია კერპთაყვანისცემას, სხვებმა სიკვდილისა და ქონების დაკარგვის შიშით თაყვანი სცა კერპებს, დანარჩენებმა მთებში გაქცევით უშველეს თავს. ზოგიერთმა კეთილშობილმა ქრისტიანმა, რომელიც მოღანის ველზე ცხოვრობდა, საბერძნეთში გაქცევა და ქონების დატოვება არჩია. იმპერატორი მათ ჰამპასში ჩაუსაფრდა და ბრძანა ყველა ქრისტიანის ნაკუწებად ქცევა. მათ კი დახმარებისათვის უფალ იესო ქრისტეს მიმართეს ვედრებით. უეცრად დიდი წყვდიადი ჩამოწვა, რომელმაც იმპერატორი და მისი მხლებლები დააბრმავა. ქრისტიანებმაც თავს უშველეს და მათ გაექცნენ. მაგრამ ბოროტნი ამ სიბნელეში დარჩნენ და, როგორც ამბობდნენ, ისინი იქ ქვეყნის აღსასრულამდე იქნებიანო“(Hayton, 815).

საინტერესოა, რომ ინგლისელი მოგზაური ჟან დე მანდევილი (თვარაძე,168-169; ჯავახია,181-182), ასევე გერმანელი თეოლოგი იოჰანეს ვონ ჰილდესჰეიმი (1310-1375) (Горелов,190-192) და მარინო სანუტო (კიკნაძე, 158) ფაქტობრივად ზუსტად იმეორებენ იგივე ისტორიას ამ სასწაულის შესახებ. ჰაიტონის წიგნის ერთ-ერთ გამოცემაში (Bergeron,13-14) და ასევე ჟან დე მანდევილთან დასახელებულია იმპერატორის სახელი – საპორე (კიკნაძე,158; თვარაძე,169; ჯავახია,181), რომელშიც უნდა იგულისხმებოდეს ირანის შაჰი – შაბურ II (309-379). შაბურ II, მართლაც, ქრისტიანების მდევნელად მიიჩნევა ზოროასტრიზმზე მოქცევის მიზნით (339 წლიდან მეფობის დასასრულამდე) (კიკნაძე, 158).

ანა ვონ დენ ბრინკენის აზრით, ეს ლეგენდა დიდი სასწაულის შესახებ უკავშირდება პლანო კარპინისა და მარკო პოლოს მიერ მოთხრობილ მსგავს ისტორიას, სადაც ხალხი წყვდიადში ემალებოდა ჩინგის ყაენის სისასტიკეს (Den Brincken, 117). ზოგადად, მოგზაურთა და პილიგრიმთა თხზულებებში ხშირად ვნახავთ ლეგენდარულ, მისტიკურ თუ ზღაპრულ ისტორიებს მკითხველთა ფანტაზიის გამოსაკვებად თუ ინტერესის გასაღვიძებლად.

11 ვ. კიკნაძის აზრით, ჰამსენში უნდა იგულისხმებოდეს სამცხე ან მუღანის ვაკის მიდამოები (მტკვრისა და არაქსის შესართავის მიდამოები) (კიკნაძე,158); ჰამსენი – მოდის სომხური საგვარეულოს ჰამშინებისგან, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, თურქეთის ჩრდილოეთით – ლაზეთში ან ჭანეთში, რომელიც VI საუკუნეში თურქებმა დაიპყრეს (ბ. გოგოხია, 31).

თუმცა, ხშირად ეს ლეგენდები რეალური ქვეყნებისა და რეალური პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის ამსახველია.

ჰაიტონი ქართველებს იხსენიებს ასევე სირიის სამხედრო კამპანიაზე თხრობისას (მარჯ ალ-საფარის ბრძოლა, 1303 წელი), სადაც მამლუქები და მონღოლები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამ შეტაკებაში ილხანები (მათ მხარეს იბრძვიან ასევე კილიკიის სომხები და ქართველები) მარცხდებიან (Hayton, 854).

ქართველებსა და სომხებს ყაზან ყაენი სარდლობდა. ჰაიტონის აზრით, მონღოლები ამ ბრძოლაში სწორედ ყაზან ყაენის არასწორი მოქმედების გამო მარცხდებიან (Hayton, 853). საინტერესოა ისიც, რომ ცნობები ამ კომპანიის შესახებ ასევე შემოგვინახეს სპარსელმა მემატიანემ – რაშიდ ალ-დინი და ქართველმა ჟამთააღმწერელმა. "ასწლიანი მატიანის" ავტორი ამ ბრძოლაში მეფე ვახტანგ III-ისა (1299-1308) და ბექას, სამცხის მთავრის, მონაწილეობას ადასტურებს. შესაბამისად, სამივე წყარო ამ ბრძოლის ისტორიაზე მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის, ერთმანეთს ავსებს და მონღოლთა ომებისა და, კონკრეტულად, მარჯ ალ-საფარის ბრძოლით დაინტერესებული მკვლევრისათვის მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს (კიკნაძე, 160).

ჰაიტონი თავისი ნაწარმოების ბოლო ნაწილში, სადაც იგი მომავალი ჯვაროსნული ლაშქრობის დაგეგმვასა და პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობს, რომის პაპს, კლიმენტ V-ს სთხოვს, რომ წერილი მისწეროს ქართველთა მეფეს ისევე, როგორც სომხებს, რამდენადაც ისინი მებრძოლი ქრისტიანები არიან:

„მომიტევეთ, თქვენო უწმინდესობავ, თქვენი ნებართვით, კიდევ ორ სიტყვას დავამატებ. ხომ არ ინებებდა თქვენი უწმინდესობა, ქართველთა მეფისთვის მიეწერა, ისინი ქრისტიანები არიან და სხვა ერებთან შედარებით უფრო მოწადინებულნი არიან მომლოცველობისა და წმინდა მიწის დაბრუნებისათვის. ხომ არ სთხოვდით მათ, დახმარება აღმოუჩინონ ჯვაროსნებს. დარწმუნებული ვარ, ისინი მიიღებენ თქვენს შემოთავაზებას, რადგანაც გულანთებული ქრისტიანები არიან, მრავალრიცხოვანნი, ძლიერნი, მამაცნი ბრძოლაში და სომხეთის სამეფოს (თითქმის) მეზობლები" (Hayton, 874).

აქ საგულისხმოა ავტორის მიერ ქართველთა დახასიათება-წარდგენა რომის პაპის წინაშე. ჰაიტონის აზრით, ისინი არიან გულანთებული ქრისტიანები, ღვთისმოსავი მომლოცველები, ჯვაროსნული იდეის გამზიარებლები („მოწადინებულნი არიან...წმინდა მიწის დაბრუნებისათვის") და ძლიერი, მრავალრიცხოვანი მეომრები. ჰაიტონისათვის ასევე მნიშვნელოვანია ქართველთა მეზობლობა სომხეთთან, რადგან იგი ქართველებს მუსლიმთა წინააღმდეგ შექმნილ ევროპულ-სომხურ ალიანსში მოიაზრებს. ჰეთუმის ისტორიის ეს პასაჟი განსაკუთრებულად საგულისხმოა, რადგან ამ მონაკვეთიდან კარგად ჩანს საქართველოს სამეფოს ევროპელ ჯვაროსანთა გეგმებში ჩართვის სურვილი, რაც, სავარაუდოდ, წარსულ გამოცდილებას ემყარება.

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია გავიხსენოთ კიდევ ერთი ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან, როდესაც ქართველები ევროპელთა მოკავშირეებად მოიაზრებოდნენ. კერძოდ, XIV საუკუნის პირველ ნახევარში, 30-იანი წლების დასაწყისში (1331-1336 წლებს შორის), რომის პაპისა და საფრანგეთის მეფის, ფილიპე VI (1328-1350) ვალუას ინიციატივით, დასავლეთ ევროპის მეფენი და დიდებულები ჯვაროსნულ ლაშქრობას გეგმავდნენ ეგვიპტის სულთნის, მუჰამედ ან-ნასირის (1293-1340) წინააღმდეგ, ხოლო აღმოსავლეთში მოკავ-

შირეებად საფრანგეთის მეფემ ილხანთა ყაენი აბუ საიდი (1317-1335)[12] და საქართველოს მეფე გიორგი V მიიჩნია. მან ფრანგი მისიონერი გაგზავნა თავრიზში, რათა იქ ფრანცისკელთა პრიორს და ლათინ ვაჭართა თავს დაჰკავშირებოდა მეფის წერილებისა და საჩუქრების გადასაცემად. ფრანცისკელებმა გადაწყვიტეს აბუ საიდი გამოერიცხათ ამ ლაშქრობიდან, რადგან 1323 წელს ალეპოში ილხანებმა ზავი დადეს ეგვიპტის სულთანთან ოქროს ურდოს აგრესიის წინააღმდეგ გასაერთიანებლად. დარჩა საქართველოს მეფე. 1332-1333 წლებში თბილისში ჩამოდიან ფრანგი მისიონერები: რიშარ (რიკარდო) მერსიე (მერჩერი) და ალექსანდრე ინგლისელი, რომლებმაც გიორგის კარზე ორი თვე დაყვეს, თუმცა, უცნობია, მიაღწია თუ არა საქართველოს მეფის პასუხმა ადრესატამდე (ჯავახიშვილი,158-188).[13]

ჩვენამდე მოაღწია გიორგი V ბრწყინვალის საფრანგეთის მეფისადმი მიწერილმა საპასუხო წერილმა. ამ წერილში ის თანხმობას აცხადებს ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე:

„საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ (საბრძოლველად), მაგრამ (საქმე ისაა, რომ) შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვებენ რა (ითრევენ რა, მათ (ე.ი. აღმოსავლეთის მეფეებს) ამ მტანჯველ ომში (მარტოდ). ამგვარად, (გთხოვთ) თქვენ დაადგინოთ (გადაწყვიტოთ), როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც (იქ) მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად, 30 ათასი ჯარისკაცით“ (გოლუბოვიჩი, 415).

ეს გვიანი ჯვაროსნული ლაშქრობა ვერ შედგა ასწლიანი ომის დაწყების გამო, თუმცა საფრანგეთის მეფის ქართველთა მეფისადმი ჯვაროსნულ ლაშქრობაში მოწოდება საქართველოს სამეფოს დასავლურ-ევროპული ორიენტაციის სახელმწიფოდ წარმოგვიდგენს. ამასთან დაკავშირებით ჯვაროსანთა ეპოქის ცნობილი მკვლევარი ჟან რიშარი წერდა :

„ქართველები ხშირად სტუმრობდნენ წმინდა მიწას მოსალოცად, ასევე ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობისთვისაც მიისწრაფოდნენ და გაოცებულნი რჩებოდნენ იმით, თუ როგორი სიმსუბუქით აცხადებდნენ დასავლეთის მეფენი მომავალ გასვლას სალაშქროდ და – არასდროს მიდიოდნენ იქ“ (Richard, 183-184).

ამ კონტექსტში ჰაიტონის „აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილი“, საქართველოს შესახებ სხვა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად, ქართველებს მებრძოლ ქრისტიანებად წარმოაჩენს, რომლებიც ჩართულნი არიან XIII-XIV საუკუნეების პოლიტიკურ პროცესებში და ევროპელთა მოკავშირეებად მოიაზრებოდნენ.

12 იგი ჰულაგუიანთა დინასტიის წარმომადგენელი იყო.

13 ამ საკითხზე ვრცლად იხ: მ. ჯავახიშვილი, საქართველო და დასავლეთ ევროპა XIV საუკუნის დასაწყისში (გვიანი ჯვაროსნული ლაშქრობა), კადმოსი, 8, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, 158-188.